

ამ ცოტა ხნის წინათ ინგლისი-დან საპარტო ფოსტით მიწვევა მი-ვიღე — ქორწილში მებატიუებოდნენ თვრამეტ აპრილს. ეს იმისთანა ქორწილი იყო, რომ, ოლონდ კი მოვხვედრილიყავი და, არ ვიცი, რას აზ მივცემდი. ერთი პირობა ვიფიქრე კიდეც, უსათუოდ გავ-ფრინდები-მეთქი, ხარჯებს ალარ დავეძებდი. მაგრამ მერე, როცა მთელი სიგრძე-სიგანით ავწონ-დავწონე საქმე ცოლთან, რომე-ლიც აქვე უნდა ითქვას, საოცრად ჭიუადამჯდარი ქალია, გადაწყდა, ალარ წავსულიყავი. სხვას რომ თა-ვი დავანებოთ, სულ გადამავიწყდა, რომ სწორედ იმ დღეებში სი-დედრს მოველოდი, აპრილის მე-ორე ნახევარი ჩვენთან უნდა გაე-ტარებინა. კაცმა რომ თქვას, არც თუ ისე ხშირად ვხედავ ჩემს სი-დედრს — ქალბატონ გრენჩერს — რომელიც, ბოლოს და ბოლოს, კი ალარ ახალგაზრდავდება: უკვე ორ-მოცდათვრამეტისა გახდა. (არც თვითონ მალავს ამას).

მაგრამ სულერთია, საცა არ უნდა ვყოფილიყავი იმ დღეს, რა გული მომცემდა, რომ ქორწილს მოსაწყენად და უგემურად ჩაევ-ლო, და მე კი ხელიც არ გამენდ-რია, სიცოცხლე არ შემეტანა. ამისთანა კაცი სულაც არ გახლა-ვართ. ასე რომ დავჭექი და რამ-

ქრისტიანი



დენიმე მამხილებელი შენიშვნა დაწერე პატარძალზე, რომელსაც
მე ამ ექვსიოდე წლის წინათ შევხვდი, და ეს შენიშვნებიც იმდროინ-
დელი შთაბეჭდილებითა მქონდა. თუ ჩემი შენიშვნები ცოტა ხნათ
გუნებას მოუკამავს სიძეს, რომელიც თვალითაც არ მინახავს, მით
უკეთესი, მეც ეგ მინდა. მისი სიამოვნება არც მაფიქრია. პირიქით,
გულისხმაში მინდა ჩავაგდო, ჰკუა ვასწავლო.

იმ სამოც ამერიკელ უნიტეროფიცერთაგან, რომლებიც 1944
წლის გაზაფხულზე ინგლისური დაზვერვის ხელმძღვანელობით სა-
განგებო წერთნას გადიოდნენ დევონშირში, რათა კონტინენტზე გა-
დასასხმელად მოემზადებინათ, ერთ-ერთი მეც გახლდით. ახლა რომ
ვაკვირდები, მეჩვენება, რომ სულ ახირებულმა ხალხმა მოვიყარეთ
თავი: ამ სამოც კაცთაგან ყველა თავისებურად გულჩათხრობილი
იყო და ერთმანეთთან გულითად ურთიერთობას ერიდებოდა. წერი-
ლების წერაში ვიყავით ყველანი გართული, და ზოგჯერ არასამსახუ-
რებრივ საქმეზე თუ გამოველაპარაკებოდით ერთმანეთს, მხოლოდ
იმიტომ რომ მელანი გამოვვერთმია — თუ არ გჭირდება, მათხოვეო.
ხოლო როცა მეცადინეობიდან თავისუფალი ვიყავით და არც წერი-
ლებსა ვწერდით, ჩვენ ჩვენთვის დავყიალობდით ხოლმე. მე პირა-
დად კარგი ამინდი თუ შემხვდებოდა, ქალაქგარეთ გავიდოდი და
დავეხეტებოდი. წვიმაში კი მშრალ კუთხეს გამოვძებნიდი და წიგნს
ვკითხულობდი — ეს ჩვეულებრივ პინგ-პონგის მაგიდის სიახლოვეს
ხდებოდა.

საწვრთნელმა მზადებამ სამ კვირას გასტანა და ერთ შაბათ დღეს
დამთავრდა. წვიმიანი დღე იყო. საღამოს შვიდ საათზე მთელ ჭავჭა-
მატარებელში ჩაგვსხამდნენ და ლონდონს გაგვამგზავრებდნენ. ხმა
გვეარდა, რომ იქ ზოგს ქვეითში, ზოგს საპარაშუტო-საღესანტო დი-
ვიზიებში გაგვამწესებდნენ და კონტინენტზე გადასასხმელად გაგ-
ვამზადებდნენ. დღის სამი საათისათვის მე უკვე ჩავალაგე ჩემი ბარ-
გი-ბარხანა დიდ სამგზავრო ტომარაში, წიგნებით გამოტენილი აირ-
წინაღის ჩანთაც შიგ ჩავუძახე. ეს წიგნები შინიდან გამომყვა, ოკე-
ანის გაღმიდან (აირწინაღი ადრევე გადავაგდე „მავრიტანიის“ ილუ-
მინატორიდან: სულერთია-შეთქი, ვითიქრე, გაზი თუ გაუშვა მტერ-
მა, ამ ნიღბის გახსნას და სახეზე წამოცმას მაინც ვერ მოვასწრებ-
იეთქი). მახსოვს, ძალიან დიდხანს ვიდექი ჩვენი ყაზარშის სულ ბო-

ლო ფანჯარასთან, გავყურებდი ცერად ვარდნილ გულისგამაწვრილებელ წვიმის წვეთებს, თოფის ხელში საჭერადა და ჩახმახის გამოსაშლელად თითები მგონი სულაც არ მექავებოდა. ზურგსუკან ავტომატური კალმების უსიამოვნო წრიპინი მესმოდა — საფოსტო პრიალა ბლანკებზე სრიალებდნენ. მერე ერთბაშად მოვწყდი ფანჯარას, მეც არ ვიცი რატომ, საწვიმარი მოვისხი, ქიშმირის კაშნე მოვიხვიე, ფეხები კალოშებში ჩავყავი, მატყლის ხელთათმანები წამოვიცვი, თავზე მეზღვაურის ქუდი დავიხურე (ოღონდ ქუდს ჩვეულებრივად კი არ ვიხურავდი, ახლაც კი შემახსენებენ ხოლმე, ჩემებურად დავიკასებდი, ყურებზე ოდნავ ჩამოვუშვებდი). ბოლოს ჩემი მაჯის საათი ტუალეტის საათზე გავასწორე და მოკირწყლული გზით წვიმით დამბალ ფერდობზე დავეშვი, ქალაქისკენ გავემართე. ელვას, რომელიც ჩემს ირგვლივ წამდაუშუმ ანათებდა, სულაც არ ვაქცევდი ყურადღებას. ვინ რა იცის — იქნებ რომელიმეს შენი ნომერი აწერია, იქნებ არა!

ქალაქის ცენტრში, საცა ალბათ ყველაზე მეტი წყალი იდგა, ერთი ექლესიის წინ შევდექი, ფიცარზე გამოკრულ განცხადებებს და ვუწყე კათხვა — ჯერ ერთი, მკაფიოდ გამოკვეთილმა შავმა ასოებშა მიიპყრო ჩემი ყურადღება, და, მეორეც, სამი წლის ჯარში ყოფნამ მიმაჩვია განცხადებების კითხვას. ოთხის თხუთმეტ წუთზე, იუწყებოდა განცხადება, ბავშვთა გუნდის გალობა უნდა ყოფილიყო. მაჯის საათზე დავიხედე, მერე ისევ აფიშის შევხედე. იქვე ბავშების სია იყო მიკრული, რომელთაც გალობაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ვიდექი ამ წვიმაში და გულმოდგინედ ვკითხულობდი გვარებს, მერე კი ექლესიაში შევედი.

ათი -თორმეტი მოზრდილი ადამიანი იჯდა გრძლად ჩამწკრივებულ სკამებზე, ზოგ მათგანს პატარა კალოშები ედო კალთაში, ჩამხლიბილი, ლანჩებით აღმამოქცეული. ჩავუარე სკამებს და პირველრიგში დავჯექი. შემალლებულ ადგილზე ოცამდე ბავშვი მოთავსებულიყო სამ მწკრივად. მჭიდროდ ისხლნენ ჩვეულებრივ სკამებზე უმთავრესად გოგონები იყვნენ — ასე, შვიდიდან ცამეტ წლამდე. მერომ შევედი, თავიანთი ხელმძღვანელი, ტვიდის კოსტუმში ჩაცმული, უშველებელი დედაქაცი, დარიგებას აძლევდა ბავშვებს — როცა მღერით, პირი ფართოდ დააღეთო. აბა, სად და როდის გავიგონიათ,

კითხულობდა იგი, რომ პაწია ჩიტუნიას თავისი მომხიბლავი სიმღერა ეგალობოს და ფართოდ, ფართოდ, ძალიან ფართოდ არ გაეღოს პა-წაწინა ნისკარტი? აშისთანა რამეს ილბათ არავინ შესწრებია. ბავშვები ქუშად შეჰყურებდნენ. მარტო ამასაც არ დაყაბულდა, მერე ისიც მოითხოვა — ჩემი ბავშვები კარგად უნდა ჩასწვდნენ სიმღერის სიტყვების შინაარსს, სულელი თუთიყუშივით განმეორება არა კმარაო. ბოლოს თავის კამერტონ-სალამურში რაღაც ჰანგი ჩაპერა, და ბავშვებმაც, თითქოს შტანგისტების ვუნდიაო, ერთბაშად ასწიეს და მოიმარჯვეს ნოტები.

უაკომპანიმენტოდ მღეროდნენ, ანდა ამ შემთხვევისათვის უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით — ხელს არავინ უშლიდათ. მელოდიური ხმები ჰქონდათ, ყოველგვარ სანტიმენტალობას მოკლებული, და ისე გულიანად მღეროდნენ, რომ ჩემზე უფრო რელიგიურად განწყობილ ადამიანს ილბათ სულიერ ამაღლებას განაცდევინებდნენ, ისე რომ ზედმეტი დაძაბვა არ დასჭირდებოდათ. ორი ყველაზე პატარა ბავშვი ცოტათი აყოვნებდა, მაგრამ ისე შეუმჩნეველი იყო ეს, რომ მარტო კომპოზიტორის დედა თუ მიხვდებოდა, ჩემს დღეში არ მომესმინა ეს საგალობელი, მაგრამ იმედს არა ვკარგავდი, რომ, თუ მეტი არა, თორმეტი ტაეპი მაინც იქნებოდა. ვისმენდი და თან სახეზე ვაკვირდებოდი ყველა ბავშვს, მაგრამ ერთმა — ჩემთან უფრო ახლოს, პირველი მწერლივის განაპირა სკამზე მჯდომარეობდა — განსაკუთრებით მიიქცია ჩემი ყურადღება. ცამეტი წლისა იქნებოდა, სწორი, მონაცრისფრო ქერა თმა თითქმის უფარავდა ყურებს. დიდებული შუბლი ჰქონდა, ელვარე თვალები... ასეთი თვალები-მეთქი, ვიფიქრე, ალბათ ფარდის ჭუჭრუტანიდან იყურება მაყურებელთა დარბაზში და ათვალიერებს, რამდენი ხალხი მოგროვდათ. მისი ხმა აშკარად გამოირჩეოდა სხეა ხმებისაგან, მაგრამ არა იმიტომ, რომ იგი სხვებზე უფრო ახლო იყდა ჩემთან. წკრიალა ხმა ჰქონდა, მაღალი, ტკბილი და მტკიცე, ამიტომ უნებურად მას მიჰყვებოდა ხოლმე მთელი გუნდი. თუმცა, ეტყობოდა, ახალგაზრდა ლედის, ცოტა არ იყოს, მოყირკებოდა მღერა, ანდა, ვინ იცის, იქნებ სულაც ეს გარემო ჰვერიდა მოწყენილობას. ორჯერ შევნიშნე, ტაეპებს შორის მცირე შესვენების დროს როგორ დაამთქნარა. მართალია, პირმოკუმულმა დაამთქნარა, როგორც ნამდვილ კეთილშობილ ლედის შეეფე-

რება, მაგრამ დაკვირვებულ თვალს მაინც არ გამოეპარებოდა: ნებ-ტოების თავისებურმა შერჩევამ გასცა.

დამთავრდა თუ არა საგალობელი, გუნდის ხელმძღვანელი გაუ-თავებელ საყვედურებს მოჰყვა, ზოგიერთები ვერა და ვერ ახერხე-ბენ, რომ ქადაგების დროს ფეხები არ ათამაშონ და პირი მაგრად მო-კუმონო. ამით მივხვდი, რომ გალობა დამთავრებულიყო, და მანამ ამ დედაკაცის უსიამოვნო ხმით გამოთქმული საყვედურები მთლად გა-აფუჭებდა ბავშვების სიმღერისაგან მიღებულ საამურ ვანწყობილე-ბას, ივლექი და ეკლესიდან გამოვედი.

კიდევ უფრო მაგრად წვიმდა. დავუყევი ქუჩას და წითელი ჯვრის ქლუბს ჩავუარე, ჭარისკაცები ორ-სამ მწერივად მისდგომოდნენ დახლს, საცა ყავას არიგებდნენ ხოლმე; შიგნითა ოთახში პინგ-პონგს თამაშობდნენ, დაკეტილი ფანჯრებიც ვერ ახშობდა იქიდან გამოჭ-რილ ხმას. ქუჩა გადავჭერი და საჩაიეში შევჭდი. კაციშვილი არ იყო საჩაიეში, გარდა ერთი შუა ხნის ოფიციანტი ქალისა, რომელსაც, ზედვე ეტყობოდა, გაწუწულ საწვიმარიან მუშტარს მშრალტანსაც-მლიანი ერჩივნა. საწვიმარი გავიხადე და რამდენადაც კი შეიძლებო-და, ფაქიზად ჩამოვკიდე საკიდარზე, მაგიდას მივუჭექი და ჩა-რიჩინიანი ნამცხვარი შევუკვეთე. მთელი დღე ისე გავიდა, კრინტი არ დამეძრი და ახლა პირველად გავიღე ხმა. მერე მოვდექი და ყვე-ლა ჯიბე დავიჩხრიკე, საწვიმრის ჯიბეებიც არ გამომიტოვებია. რო-გორც იჭნა, ორი ძველი წერილი ვიპოვნე, რომელთა ხელმეორედ ვადაკითხვა შეიძლებოდა. ერთი ცოლისა იყო — მწერდა, შრაფტის კაფეტერიაში, ოთხმოცდამერვე ქუჩაზე. სულ გააფუჭეს ყველაფე-რიო; მეორე წერილს სიღედრი მწერდა — მთხოვდა, როგორც კა „ბანაკიდან“ გაითავისუფლებ თავს, როგორმე ცოტაოდენი ქიშმირის ძაფი მიყიდე და გამომიგზავნეო.

ჯერ პირველი ფინჯანი არც კი დამელია, რომ საჩაიეში შემოვიდა ის ახალგაზრდა ლელი, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინ გუნდში შევ-ჰყურებდი და ვუსმენდი. ერთიანად დასველებულ თმის ქვეშ ყურე-ბი მოუჩანდა. თან ახლდა პაწაწინა ბიჭი, ეჭვი არ იყო, მისი ძმა; შე-მოვიდნენ თუ არა, გოგონამ ორი თითით მოხადა ქუდი, თითქოს ლა-ბორატორიული დაკვირვების საგანიაო. უკან მოჰყვებოდათ ყოჩალ-შესახედაობის ქალი, რომელსაც თექის შლიაპა ეხურა, ალბათ ბავშ-

ვების გამდელი იყო. შემოვიდა თუ არა მომლერალი გოგონა, პალტო გაიხადა და ხელად მაგიდა შეარჩია, ჩემის აზრით მარჯვედ და მოხერხებულად — ჩემი მაგიდიდან რვა თუ ათი ფუტის დაშორებით, იქვე ჩემს წინ. გოგონა და გამდელი მაშინვე დასხდნენ. პატარა ბიჭი კი, რომელიც ხუთი წლისა იქნებოდა, არ აპირებდა დაჭდომას. ჯერ ქურთუკი იშვლიბა და იქვე მიაგდო, მერე ნამდვილი მტარვალივით გამდელის გულზე ხეთქვას მოჰყვა, თუმცა სახეზე არაფერს იმჩნევდა, ვითომც არაფერიო — შესწევდა სკამს და უკანვე გამოსწევდა, შესწევდა და გამოსწევდა, თანაც თვალს არ აშორებდა გამდელს. გამდელმა ორჯერ თუ სამჯერ წყნარად უთხრა, მაიმუნობას თავი დაანებე და დაჯექიო. მაგრამ თითქოს არც გაუგონია. ხოლო, როცა დამ გაუმეორა იგივე, მაშინვე დაჭდა და სკამის ზურგს გადააწვა. ოღონდ ახლა ხელსახოცს დასტაცა ხელი და თავზე დაიფარა. დამ მოხადა ხელსახოცი, გაშალა და კალთაზე გადააფარა.

ამასობაში ჩაიც მოართვეს, გუნდის მომლერალმა შემნიშნა, როგორ ვუთვალთვალებდი მათ, და თვითონაც დამაშტერდა თავისი ყურადღებიანი და ცნობისმოყვარე თვალებით, მერე კი ოდნავ შესამჩნევად გამილიმა. საოცრად გაცისკროვნებული იყო ეს ლიმილი, როგორც ზოგჯერ ახასიათებს ხოლმე ასეთ ნაზ, ოდნავშესამჩნევ გალიმებას. მეც ლიმილითვე ვუპასუხე, მაგრამ ჩემი ლიმილი ისეთი გაცისკროვნებული არ ყოფილა — ვცდილობდი ზემო ტუჩი არ გამეშალა და ჭარისკაცული, ნახშირივით შავი პლობი არ გამომეჩინა წინა კბილებს შორის. იმავე წუთში გოგონა ჩემს მაგიდასთან გაჩნდა, თავი შესაშურებელი ლირსეულობით ეჭირა. შოტლანდური უჭრულა შალის კაბა ეცვა, მგონი კემპბელური მოხატულობისა. მართლაც რომ მშვენიერი მორთულობა იყო ყმაწევილი ქალისათვის, ამნაირ წვიმიან დღეს.

— მე კი მეგონა, ამერიკელებს სძულდათ ჩაი, — თქვა მან.

ეს არ ყოფილა თავგასული ანალგაზრდის აგდებული სიტყვები — კეშმარიტების დაღვენით დაინტერესებული ადამიანის შენიშვნას უფრო ჰგავდა. მე ვუპასუხე, ზოგი ამერიკელი ჩაის მეტს არაფერს სვამს-მეთქი. მერე ვთხოვე, იქნებ ჩემთან დაჭდე-მეთქი.

— მაღლობელი ვარ, — მიპასუხა მან, — ოღონდ სულ ერთი წამით.

წამოვდექი და სკამი გამოვუწიე — სწორედ ის სკამი, ჩემს პირდა-
პირ რომ იდგა. ჩამოჭდა, თავი მომალლოდ ეჭირა, გამართული იჯდა,
დაუძაბავად, და ძალიანაც შვენოდა. მე უკანვე მივბრუნდი, — ლამის
მივვარდი ჩემს სკამთან, — და სწრაფად დავჩექი, საუბრის გაბმას ვე-
შურებოდი. მაგრამ, რომ დავჩექი, სათქმელი ვეღარაფერი მოვიგო-
ნე. ისევ გავუდიმე, ოლონდ ნახშირივით შავი პლომბი ამჯერადაც
დაუშალე. მერე ამინდზე ვთქვი, საშინელი დღეა-მეთქი.

— მართლაც, ძალიან ცული ამინდია, — ისეთი ადამიანის კილო-
თი შენიშნა ჩემმა სტუმარმა, რომელიც ფუჭ ლაპარაკს დიდად ვერ
ეწყობა ხოლმე. თითები გაშალა და მავიდაზე ჩამოსდო, სპირიტიშ-
მის სეანსის დროს რომ იციან, მაგრამ ხელადვე შეკეცა, დამალა.
მუჭში მოიქცია — ფრჩხილები სულ დაკვენეტილი ჰქონდა. მაჯაზე
საათი ეკეთა, მაგრამ იმოდენა იყო, რომ მეზღვაურის ქრონომეტრს
უფრო მოგაგონებდა, სამხედრო საათი იყო; ციფერბლატი მეტისმე-
ტად ფართო ჩანდა მისი წერილი მაჯისათვის.

— ეკლესიაში იყავით, — საქმიანი კილოთი თქვა მან, — დაგინა-
ხეთ.

კი-მეთქი, ცუპასუხე, ვიყავი და მოგისმინეთ კიდეც, თქვენი ხა-
ჟველასაგან გამოიჩინდა, მშვენიერი ხმა გქონდათ-მეთქი.

გოგონამ თავი დამიქნია.

— ვიცი. პროფესიონალი მომლერალი უნდა გავხდე.

— რასა ბრძანებთ? საოპერო მომლერალი?

— ღმერთმა დამიფაროს. ჯაზთან ერთად უნდა გამოვიდე ხოლმე
რაღიოში, და ფულები მოვხვეტო. მერე, ოცდაათისა რომ გაეხდები,
დავანებებ თავს და რანჩის მოვიწყობ თვაიოში. — სველ თმაზე გაშ-
ლილი ხელი გადაისვა. — კოფილხართ თვაიოში?

ისე გამივლია, მატარებლით, რამდენჯერმე, კარგად არ ვიცნობ-
მეთქი, ვუთხარი. მერე დარიჩინიანი ნამცხვარი შევთავაზე.

— გმაღლობთ, ნუ სწუხდებით, — მიპასუხა. მან, — ცოტას ვჭამ
ხოლმე, ჩიტივით.

მე თვითონ მოვკბიჩე ნამცხვარი და მერე ვთქვი, ოპაიოს ირგვლივ
სავსებით ვეღური აღვილები არის-მეთქი.

— ვიცი. ერთი ამერიკელი შემხვდა და იმან მითხრა. თქვენ მე-
თერთმეტე ამერიკელი ხართ, ვისაც მე შევხვედრივარ.

გამდელი თავს იკლავდა — ანიშნებდა და ანიშნებდა იქიდან, წი-
მოდი მაგ კაცს თავი ნუ მოაბეზრეო. ჩემმა სტუმარმა ოდნავ დასძრა-
სკამი და ისე დაჭდა, რომ ზურგი სავსებით მიაქცია თავის მაგიდან.

— თქვენ იმ საიდუმლო დაზვერვის სკოლაში დადიხართ, არა,
გორაქზე? — ეითომც არაფერით, ისე მკითხა მან.

სიფხიზლე გამოვიჩინე, — ყველა ასე მოიქცეოდა ჩემს ადგილას, —
და ვუპასუხე, დევონშირში გამოსაჯანსალებლად ჩამოვედი-მეთქი.

— მართლა?! — თქვა მან, — გუშინდელი ბალლი კი ნუ გავონე-
ბით.

მაგას ვინ ამბობს, სანაძლეოს ჩამოვალ, რომ გუშინდელი ბალლი
არა ხარ-მეთქი. ფინჯანს მოვუბრუნდი, ჩაის სმა განვაგრძე. უცებ
მომეჩვენა, ცუდად ვზივარ-მეთქი, და გავსწორდი.

— ისეთი ინტელიგენტური კაცი ჩანხართ, რომ ამერიკელს არა
ჰერცოგი, — ჩაფიქრებით თქვა ჩემმა სტუმარმა.

ამისთანა ლაპარაკი ნამდევილი სწობიზმია-მეთქი, მე ვუთხარი,
თქვენ არ გეკადრებათ-მეთქი.

ივი ერთბაშად წამოენთო, და მე მაშინვე გადმომედო მისი სიმ-
შვიდე.

— რა ვაცი. ამერიკელების უმრავლესობა, ვისაც კი შევხვედრი-
ვარ, მხეცებივით იქცევა. მუდამ ხელსა ჰერიავენ ხოლმე ერთმანეთს.
არავის არ ერთდებიან, ყველას შეურაცხყოფას აყენებენ... ის კი არა-
და, იცით ერთმა რა გააკეთა?

მე თავი გავაქნიე.

— ვისკის ცარიელი ბოთლი შეუგდო მამიდაჩემს ფანჯარაში. კი-
დევ კარგი, ფანჯარა ლია იყო. მაგრამ თქვენ როგორა გვონიათ, ძა-
ლიან ინტელიგენტური საქციელია?

არც მე მომეჩვენა მაინცდამაინც ინტელიგენტურ მოქმედებად,
მაგრამ ეგ აღარ მითქვამს. უბრალოდ ისა ვთქვი, ათასობით ჭარის-
კაცია-მეთქი მთელს ქვეყანაზე მოწყვეტილი ოჯახს, და უმრავლესო-
ბას ცხოვრებაში არაფერი კარგი არ უნახავს. ეს უსათუოდ უნდა გა-
ითვალისწინოს ხალხმა-მეთქი.

— შესაძლებელია, — უგულოდ დამიმოწმა ჩემმა სტუმარმა.

ხელი ისევ ასწია და თავზე გადაისვა, იღლო თითო ბლუჭა ქერა
სველი თმა და ყურებზე გადასწია, დაფარეა სცადა.

— ერთიანად სველი მაქვს თმა,—თქვა მან,—საფრთხობელის ვგავარ,— მე გამომხედა.— როცა მშრალია, მაშინ კი არ არის ასე გადაგლესილი, ტალღებად მადგას.

— ვხედავ, ვხედები.

— დახუჭუჭებული თმა მაქვს-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ ისე ტალღებად მადგას,— თქვა მან,— ცოლი გუავთ? კი-მეთქი, ვუპასუხე.

თავი დააქნია.

— ძალიან ვიყვართ ცოლი? თუ მეტისმეტად შემოვიჲერი თქვენს პირად საქმეებში?

მე თვითონ გეტყვით, როცა მეტისმეტად შემოიჭრებით-მეთქი, ვუპასუხე.

უფრო ღრმად შემოაცურა ხელი მაგიდაზე, და, შახსოვს, მომინდა, რაღაც მექნა ამ უშველებელი საათისათვის, მთელ მაჯას რომ უფრავდა — იქნებ მერჩია, წელზე შემოირტყი-მეთქი.

— საერთოდ, ჯოგურად გათქვეფის მომხრე სულაც არა ვარ,— თქვა მან და გამომხედა, შეამოწმა, ამ გამოთქმის შინაარსს თუ ჩაწვდაო. მაგრამ მე ვანგებ ისე დავიჭირე თავი, რომ ვერ მიმხვდარიყო, ჩავწვდი თუ არა.— მარტოობით მოწყვენილი მომეჩენეთ და მხოლოდ იმიტომ მოვედი. ძალიან მგრძნობიარე სახე გაქვთ.

არც შემცდარხართ-მეთქი, მე ვუთხარი, მარტოობის სევდა შემომაწვა და ძალიან კარგი ქენით, რომ მოხვედით-მეთქი.

— ვცდილობ უფრო მეტი თანავრძნობისა და სიბრალულის უნარი გამოვიმუშავო, საშინლად ცივი ხარო, მამიდაჩემს დაუყინია,— თქვა მან და კიდევ გადაისვა თმაზე ხელი.— მამიდასთან ვცხოვრობ. ძალიან გულკეთილი ადამიანია. რაც დედაჩემი მოკვდა, სულსაც არ იშურებს, რომ ჩარლზსა და მე არაფერი დაგვაკლდეს.

— ძალიან სასიამოვნოა.

— დედაჩემი საოცრად ინტელიგენტური ქალი იყო, მრავალ-მხრივ განათლებული და მიმხვდარი,— გაფაციცებული ყურადღებით შემომხედა,— რას იტყვით, მარტლა ასე ცივი ვჩანვარ?

სულაც არა-მეთქი, ვუპასუხე, მარტალი თუ გინდა, პირიქით არის-მეთქი. ჩემი სახელი და გვარი ვუთხარი და თავისი ვკითხე.

ცოტათი შეყოყმანდა.

— სახელად ესმე მქვია. არა მგონია, გვარის თქმაც საჭირო იყოს ამჯერად. ტიტულოვანი გვარი მაქვს და მეშინია, სხვანაირი შთაბეჭ-დილება არ მოახდინოს თქვენზე. ამერიკელებს ასე მოსდით ხოლმე.

არა მგონია, მე ასე მომივიდეს, მაგრამ, თავისთავად, საინტერე-სო იდეაა, ერთხანს თუ არ გამიმხელ შენს გვარს-მეთქი.

უცებ ვიღაცის თბილი სუნთქვა ვიგრძენი ზედ კისერთან. თავი მოვაბრუნე და ცოტას გაწყდა ცხვირით არ მივეხალე ესმეს პატარა ძმის ცხვირს. მე არაფრად არ ჩამაგდო, თავის დას მიმართა წივანა ჩმით:

— მისს მეგლიმ თქვა, მოდი და შენი ჩაი გაათავეო.

გადასცა დანაბარები და იქვე სკამზე დაჭდა, ჩემსა და თავის დას შორის, ჩემგან ხელმარჯვნით. დადი ცნობისმოყვარეობით შევათვა-ლიერე. დიდებული ბიჭი იყო, ეცვა ჟავისფერი შოტლანდური შალის მოკლე შარვალი, თეთრი პერანგის ქვეშ ლურჯი სათბურა მოუჩანდა. ზოლებიანი ყელსახვევი ეკეთა. მე რომ ასე ინტერესით დავუწყე აქერა, თვითონაც შემომანათა თავისი მწვანე დიდრონი თვალები.

— რატომ არის, რომ კანოებში გვერდზე თავგადაწეულები კოლიან ერთმანეთს? — იკითხა მან.

— გვერდზე თავგადაწეულები? — გავიმეორე მე. ეს პრობლემა მე თვითონ მაწამებდა ხოლმე ბაეშვობისას. მაინც ვუპასუხე: ალბათ გრძელი ცხვირები აქვთ მსახიობებს და პირდაპირ რომ გაჩერდნენ, ვეღარ აკოცებენ-მეთქი.

— ამას ჩარლზი ჰქვია, — მითხრა ესმებ, — ჯერ ხომ პატარაა, მაგრამ ძალიან ჰქვიანი ბიჭია.

— თვალები კი ნამდვილად მწვანე ჰქონია. ჰა, რას იტყვა, ჩარლზ?

ჩარლზმა თვალი მოჰურა და ისე გამომხედა — ასეთ შემოხედვას იმსახურებდა ჩემი შეკითხვა, — მერე წრიალს მოპყვა, ჩაცურდა და ჩაძვრა მაგიდის ქვეშ, თავიღა დარჩა ზემოთ, და თავიც უკან გადა-ლრიცა, სკამს გადააწვა, ისეთი პოზა მიიღო, ჭიდაობის დროს რომ „ხილზე“ გაჭიმავენ ხოლმე მოწინააღმდეგეს.

— თაფლისფერი მაქვს, — წაიდუდუნა მან ისე, რომ თვალები ჭერისთვის არ მოუშორებია. მერე სუფრის კალთა ასწია და თავის ლაშაზ, სიმშვიდის გამომეტყველ სახეზე წაიფარა.

— ხან ჭკვიანია, ხან არა, — თქვა ესმემ, — გასწორდი, ჩარლზ! ჩარლზი არც განძრეულა, ის კი არადა, სუნთქვა შეიყრა. — მამას დარღობს. ჩრდილო იფრიკაში მო-პ-კ-ლ-ეს. ძალიან სამწუხაროა-მეთქი, ჩემი თანაგრძნობა გამოვუცხადე. ესმემ თავი დააქნია.

— გავიჟებით უყვარდა ჩარლზი, — ჩაფიქრდა, ცერზე აქერცლილი კანი მოიკვნიტა, — ისე, დედაჩემსა ჰგავს ძალიან... ჩარლზზე გეუბნებით. მე კი გამოცხადებული მამა ვარ, — ისევ თითზე აქერცლალ კანს დაუბრუნდა, კვნეტა განაგრძო, — დედაჩემი მგრძნობიარე ქალი იყო, ექსპანსური. მამაჩემი — გულჩათხრობილი. თუმცა კარგად უხდებოდნენ ერთმანეთს, გარეგნული ნიშნებით თუ ვიმსჯელებთ. ისე, გულწრფელად რომ გითხრათ, მამაჩემს უფრო ინტელექტუალური თანამგზავრი ეკუთვნოდა. გენიალური ჭეუის პატრონი იყო.

ახალი ცნობების მოლოდინში სმენად ვიქეცი, მაგრამ მეტი აღარაფერი უთქვამს. მერე ისევ ჩარლზს დავხედე — თავი შეებრუნებია და ახლა ლოყით დაყრდნობოდა სკამს. როცა შემნიშნა, მას შევურებდი, თვალები ანგელოზიერი მილულა, ენა გამოპყო — საოცრად გრძელი ენა — და ერთი ისეთი იწივლა, ჩემს სამშობლოში ბეისბოლის მატჩზეც კი გამოდგებოდა ბრუტიანი მსაჯის ჭილდოდ.

— გაჩუმდი, — უთხრა ესმემ, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, გული სულაც არ მოსვლია. — ერთი ამერიკელი შვრებოდა ასე თევზისა და შემწვარი კარტოფილის რიგში, და იმისგან გადმოილო; როცა მოწყენს ასე იწივლებს ხოლმე. გაჩუმდი, თორემ ახლავე მისს მეგლის-თან გაგაგზავნი.

ჩარლზმა თავისი დიდორონი თვალები გაახილა. მარტო ამით შე-ეტყობდი, რომ დას სიტყვები გაიგონა, სხვა არაფრით გამოუხატავს. მერე კვლავ დახუჭა თვალები, ლოყა ისევ სკამზე ჰქონდა მიყრდნობილი.

იქნებ ასე სჯობდეს-მეთქი, მე შეენიშნე: მანამ ტიტულოვანი გახდება (მაგასაც თუ აქეს ტიტული), ბარემ. შეინარჩუნოს ეს ჩვეულება-მეთქი.

ესმემ ექიმის გამომცდელი თვალით შემომხედა. კარგახანს არ მოუშორებია თვალი.

— რაღაცნაირი მშვიდი იუმორი გაქვთ, — ნაღვლიანად თქვა

მან, — მამაჩემი მეუბნებოდა, შენ სულაც არ გაქვს იუმორის გრძნობაო. არა ხარ ცხოვრებისათვის მომზადებული, რადგან იუმორის გრძნობა არა გაქვსო.

სიგარეტს მოვუკიდე, მაგრამ ესმესთვის ერთი წუთით არ მომიშორებია თვალი. კაცს გასაჭირი ნუ შეხვდება, თორემ არა მგონია იუმორის გრძნობაშ უშველოს-მეთქი, ვუთხარი.

— მამაჩემი ამბობდა, უშველისო.

ეს არ ყოფილა უბრალო შესიტყვება, ეს იყო რწმენა, და მეც სწრაფად შევიცვალე აზრი. თავი დავუქნიე და ვუთხარი: მამა ალბათ უფრო ფართო გავებით გულისხმობდა, მე კი ვიწროდ ვიგულისხმე-მეთქი (ლმერთმა უწყის, რას ნაშნავდა ან ფართო გავება და ან ვი-წრო).

— ჩარლზი ძალიან დარღობს მამის, — თქვა ცოტა ხნის შემდეგ ესმემ, — ძალიან საყვარელი კაცი იყო. საოცრად ლამაზი და მოხდენილი. გარეგნობა, რაღა თქმა უნდა, ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ ლამაზი კაცი იყო. ხომ ისეთი კეთილი იყო, მაგრამ საშინლად გამგმი-რავი თვალები ჰქონდა.

თავი დავუქნიე. ალბათ ენაც საოცარი ექნებოდა-მეთქი, ვუ-თხარი.

— ო, ძალიან, — მიპასუხა ესმემ, — არქივისტი იყო... მოხალისე, რაღა თქმა უნდა.

უცებ ბეჭი — სწორედ იმ მხარეს, საცა ჩარლზი იჯდა — ეიღაცამ ხელი მომითათუნა, მომითათუნა კი არადა, კარგა მაგრად დამარტყა. თავი მივაბრუნე. უკვე წესიერად იჯდა სკამზე, ოღონდ ცალი ფეხი მოერთხა.

— აბა, რას ეუბნება ხოლმე ერთი კედელი მეორეს? — დაიწრი-პინა მან, — გამოცანაა.

მე ჩაფიქრებით მოვატარე თვალები ჭერზე და შეკითხვა გაეიმე-ორე. მერე დაბნეულად შევხედე ჩარლზს და, გნებდები-მეთქი, ვუთხარი.

— ქუთხეში შევხვდეთ ერთმანეთსო! — ერთბაშად შეჰყვირა გა-ხარებულმა.

ამ პასუხში ყველაზე უფრო თვით ჩარლზი გაახარა. სიცილი წას-კდა, ლამის სუნთქვა შეეკრა. ესმე იძულებული გახდა წამომდგარი-

ყო და ზურგშე დაეკრა ხელი, ხეელისაგან ჩაბეირების დროს რომ იციან ხოლმე.

— გეყოფა, ახლა! — უთხრა მან და ისევ თავის აღგილზე დაბრუნდა, — ვინც არ უნდა შეხვდეს, ყველას უნდა უთხრას ეს გამოცანა და მუდამ ასე მოსდის. სიცილის დროს ასე გადმოჰყრის ხოლმე დორბლებს. კარგი ახლა, გეყოფა!

— მარტალი თუ გინდათ, ჩემს დღეში არ გამიგონია ამისთანა კარგი გამოცანა, — ვთქვი მე და ჩარლზს გადავხედე, რომელიც ძალაან მძიმედ მშვიდდებოდა. ჩემს ქათინაურზე ისევ ჩაცურდა სკამზე და სახე სუფრის კალთით დაიტარო. ცოტა ხანს მერე გამომხედა — თვალებში ჯერაც არ ჩაქრობოდა სიხარული და სიამაყე აღამიანისა, რომელსაც ერთი თუ ორი ნამდვილად კარგი გამოცანა გაუგონია და იმითი მოაქვს თავი.

— შეიძლება გკითხოთ, რა საქმეს ეკიდეთ ჭარში გაწევევამდე? — მკითხა ესმემ.

არაფერ საქმეს არ ვეკიდე-მეთქი, მე ვუთხარი, სულ ერთა წლის დამთავრებული მქონდა კოლეგი, მაგრამ ისე პროფესიონალ მწერალ-ნოველისტობაზე ვოცნებობდი-მეთქი.

ესმემ თავაზიანად დააქნია თავი.

— დაბეჭდეთ რამე? — მკითხა ესმემ.

ჩვეულებრივი შეკითხვაა, მაგრამ მე უოველთვის გულზე მომხვდება ხოლმე და პასუხის გაცემა მიჰირს. მივკიბ-მოვკიბე იმერიკელი რედაქტორების ამბავი ხომ გავიგონია, ნამდვილი ჭოვია და...

— მამაჩემი დიდებულად წერდა, — შემაწყვეტინა ესმემ, — ვინახავ კიდეც მის წერილებს შთამომაცელობისათვის.

ძალიან კარგი აზრი მოგსვლია-მეთქი, მე ვუთხარი, და კვლავ ის უშველებელი საათი მომხვდა თვალში, ქრონომეტრის მსგავსი მაჩის საათი. ეგ საათიც მამისეული ხომ არ არის-მეთქი, ვკითხე.

დიდი სერიოზულობით დაიხედა მაჯაზე.

— დიახ, მამაჩემის ნაქონია, — თქვა მან, — საევაკუაციოდ რომ გვამზადებდნენ მე და ჩარლზს, სწორედ მაშინ მაჩუქა. — უცებ დაირცხვინა და ხელები მაგიდიდან აიღო. — სამახსოვროდ, რაღა თქმა

უნდა, — ეს თქვა და ხელად სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი. — ძალიან მასიამოვნებთ, როდესმე საგანგებოდ ჩემთვის თუ დაწერთ მოთხოვთ. თავგადაკლული მკითხველი ვარ.

თუკი გამომივიდა, უსათუოდ დავწერ-მეთქი, აღვუთქვი. ოლონდ ბევრს ვერა ვწერ-მეთქი.

— ანკი რა საჭიროა ბევრის წერა! მთავარია, ბავშვური და სულელური არ გამოვიდეს, — ჩაფიქრდა, — მე პირადად ისეთი მოთხოვბი მირჩევნია, საცა უბადრუკობაზეა ლაპარაკი.

— რაზე? — ვკითხე და წინ გადავიწიე.

— უბადრუკობაზე. ძალიან მაინტერესებს უბადრუკობის საკითხი.

უფრო დაწერილებით გამოკითხეა დავაპირე, მაგრამ უცებ ჩარლზმა მიჩქმიტა მკლავზე, კარგა მწირედ. ახლა მისკენ მივბრუნდი, ტკივილისაგან სახე დამეღრიჭა. გვერდზე მომდგომოდა.

— აბა, რას ეუბნება ხოლმე ერთი კედელი მეორეს? — მკითხა. საკმაოდ გამიშინაურდა.

— ეს იყი ჰკითხე! — უთხრა ესმემ, — გეყოფა ახლა!

დის სიტყვები აინუნშიაც არ ჩაუგდია, მუხლზე ამომაცოცდა და კიდევ გამიმეორა აკვიატებული შეკითხვა. შევნიშნე, რომ ყელსახვევის კვანძი გვერდზე მოლრეცოდა. გავუსწორე, თვალებში ჩავხედე და ვუთხარი.

— კუთხეში შევხვდეთ ერთმანეთსო.

ჯერ სიტყვა არც კი დამემთავრებინა, რომ ვინანე. ჩარლზმა უცებ უშველებელზე გააღო პირი. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მე დამერტყას რამე და იმიტომ დაებჩინოს პირი ასე. ისევ დაბლა ჩაძვრა და სიამაყეშელახული ადამიანივით თავისი მაგიდისკენ გაემართა, უკან აღარც კი მოუხედავს.

— გაცოფდა ახლა, — თქვა ესმემ, — საშინელი ბრაზიანია. დედაჩემი ანებივრებდა ხოლმე. ერთადერთი მამა არ აფუჭებდა.

მე ჩარლზისთვის არ მომიშორებია თვალი. მივიდა, დაჭდა, ორივე ხელი მოხვია ფინჯანს და ჩაის სმა დაიწყო. მობრუნდება-მეთქი, იმედი მქონდა, მაგრამ არ მობრუნებულა.

ესმე წამოდგა.

— Il faut que je parte aussi,¹ — თქვა და ამოიოხრა, — იცით
ფრანგული?

მეც წამოვდექი, რაღაცნაირად ივირიე, გული ჩამწყდა. ხელი ჩა-
მოვართვით ერთმანეთს. ნერვიული ადამიანის ხელი მომეჩვენა, ერ-
თიანად დანამული ჰქონდა. დიდად მოხარული ვარ თქვენი გაცნო-
ბით-მეთქი, ინგლისურად უუთხარი.

ესმემ თავი დააქნია.

— დარწმუნებული ვარ, მართლაც ასე იქნება, — მითხრა მან, —
ჯერ იმდენი ხნის არა ვარ, მაგრამ ხალხთან ურთიერთობა ძალიან-
მიყვარს, — ისევ გადაისვა თმაზე ხელი, შეამოწმა, თუ შემიშრაო, —
რაღა ახლა გამეწუწა ეს თმა, საზიზლარი შესახედავი ვიქნები.

— სულაც არა! მართალი თუ გინდათ, ისევ დაგიხუჭუჭდათ თმა.
სწრაფად გადაისვა თმაზე ხელი.

— როგორ გვინიათ, ისევ მალე მოგიხდებათ აქ მოსვლა? — მკი-
თხა მან, — ჩვენ ყოველ შაბათს აქა ვართ ხოლმე, გალობის შემდეგ.

მაგაზე უკეთესს რას ვინატრებდი, მაგრამ, სამწუხაროდ, მეტს
ნამდვილად ველარ მოვახერხებ აქ შემოვლას-მეთქი.

— ეგ იმას ნიშნავს, რომ ნება არა გაქვთ თქვენი ნაწილების გა-
დაადგილებაზე ილაპარაკოთ, — თქვა ესმემ, მაგრამ არც განძრეულა.
თითქოს არც კი აპირებდა ადგილიდან ფეხის მოცვლას. იდგა, ფეხე-
ბი გადაეჭვარედინებინა, იატაკს მისჩერებოდა და ცდილობდა ფეხის
წვერები ერთ ხაზზე მოეჭირა. კარგი სანახავი კი იყო — დაბალყე-
ლიანი თეთრი წინდები ეცვა, და მისი კოხტა წვივები და კოჭები
მართლაც რომ შეხედვად ლირდა. ერთბაშად ასწია თავი და შემომ-
ხედა.

— გინდათ, წერილებს მოგწერთ ხოლმე, — თქვა მან და ლაწვე-
ბი შეუფაკლდა, — ისეთი დალაგებული წერა ვიცი, ჩემი ხნის ადა-
მიანისაგან არც კი...

— ძალიან გამახარებთ, — ფანქარი და ქალალდი ამოვილე და და-
ეუწერე ჩემი სახელი და გვარი, წოდება, საკუთარი და საველე ფოს-
ტის ნომრები.

— პირველი მე მოგწერთ, — მითხრა მან და ქალალდი გამომარ-
თვა, — რომ თქვენ თავის დამცირება არ გამოვიდეთ, — კაბის ჭი-

1 მეც უნდა წავიდა (ფრანგ.).

ბეჭი შეინახა მისამართი, — ნახვამდის, — თქვა, და თავის მაგილისკენ ვაემართა.

ერთი ჩაი კიდევ შევუკვეთე, ვიჯეტი და მათ გავცემოდი, მანამ თრივენი, და მათთან ერთად მოთმინებადაკარგული მისს მეგლი არ წამოდგნენ და არ წავიღნენ. წინ ჩარლზი მიუძლოდა, ტრაგიკული იერი მიეღო, ისე მიჩლახუნობდა, თითქოს ცალი ფეხი რამდენიმე გოჭით მოკლე ჰქონოდეს მეორეზე. ჩემკენ არც კი გამოუხედავს. ჩარლზს მისს მეგლი მისდევდა, მერე — ესმე, რომელმაც ხელი და-მიქნია. მეც წამოვიწიე და დავუქნიე. უცნაურმა მლელვარებამ მო-მიცვა.

* * *

ერთ წუთსაც არ გაუელია, რომ ესმე ისევ მობრუნდა, ქურთუკის სახელოში ჩაევლო ხელი ჩარლზისათვის და მოათრევდა.

— ჩარლზსა სურს გაქოცოთ და გამოგეთხოვოთ, — თქვა მან. ფინჯანი მაშინვე დავდგი. ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ ნამდვი-ლად ასეა-მეოქი? ვკითხე.

— ნამდვილად, — ცოტა არ იყოს ქუშად მიპასუხა ესმემ. ჩარლ-ზის ქურთუკს ხელი უშვა და კარგა მაგრად უბიძგა ჩემკენ. ერთია-ნად გაფითრებული ბიჭი მომიახლოვდა და პირის წკლაპუნით მაკო-ცა ზედ მარჯვენა ყურის ძირში, სულ დამდორბლა. ეს ჯოჯოხეთი რომ გაიარა, ხელადვე შებრუნდა და ის იყო კარისკენ გავარდნას აპირებდა, — რათა უსიამოვნო სანტიმენტალობას სწრაფად გაშორე-ბოდა და თავის გუნებისად განეგრძო ცხოვრება, — რომ უცებ ქურ-თუკის ქამარში ვწვდი, მოვაბრუნე და ვკითხე:

— აბა, რას ეუბნება ერთი კვდელი მეორეს?

სახე გაუბრწყინდა.

— კუთხეში შევხვდეთ ერთმანეთსო! — წამთიკნავლა და მოწყ-ვეტით გავარდა კარში. ეტყობოდა, ისტერიკულმა ალტკინებამ წამო-უარა.

ესმე კვლავ წინანდებურად იდგა, ფეხებგადაჯვარედინებული.

— დარწმუნებული ხართ, რომ არ დაგავიწყდებათ ჩემთვის იმ

მოთხრობის დაწერა? — მკითხა მან, — მაინცადამაინც ჩემთვის იყოს-
მეთქი, ამას არა გთხოვთ. თუ გნებავთ...

არასდიდებით არ დამავიწყდება-მეთქი, მე ვუთხარი. ჩემს დღე-
ში არ დამიწერია ვინმესთვის საგანგებოდ მოთხრობა, მაგრამ ახლა,
ეტყობა, ამის დროც დადგა-მეთქი.

თავი დააქნია.

— რამდენადაც კი შეიძლება, ამაღლვებელი და უბადრუკობის
გამომხატველი იყოს, — მთხოვა მან, — ხომ კარგიდ წარმოგიდგე-
ნიათ, რას ნიშნავს უბადრუკობა.

არც თუ ძალიან კარგიდ, მთელი სისრულით არა მაქვს წარმოდ-
გენილი, მხოლოდ ზოგი მისი დამახასიათებელი თვისება ვიცი, მაგ-
რამ ახლა ყოველნაირად ვეცდები, თქვენი დარიგების მიხედვით დავ-
წერო ეს მოთხრობა-მეთქი. ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს.

— სამწუხარო არ არის განა, რომ უფრო ხელსაყრელ ვითარე-
ბაში არ შევხვდით ერთმანეთს?

ნამდვილად ასეა, ნამდვილად სამწუხაროა-მეთქი, მე ვუთხარი.

— ნახვამდის, — გამომეთხოვა ესმე, — იმედი მაქვს, ჭანმრთელა
და საღსალამათი დაბრუნდებით ომიდან.

მადლობა მოვახსენე, რამდენიმე სიტყვა კიდევ ვუთხარი და მე-
რე თვალი გავაყოლე, როგორ გავიდა კაფედან. ნელა მიდიოდა, ჩა-
ფიქრებული, თან თმას ისინჯავდა. თუ გამიშრაო.

* * *

ასეთია ამ მოთხრობის ამაღლვებელი და გულისმომწყვლელი
ნაწილი. ამის შემდეგ სურათი იცვლება. მოქმედი პირებიც იცვლე-
ბიან. მე კვლავ ვრჩები მოქმედ პირად, მაგრამ რაღაც მიზეზების გა-
მო, რისი გამხელის უფლებაც არა მაქვს, ისე ეშმაკურად შევინილდე,
რომ ყველაზე გამოცდილი მკითხველიც კი ვეღარ მიცნობს.

ეს მოხდა გაუფურტში, ბავარიაში. ლამის თერთმეტის ნახევარი
იქნებოდა, გამარჯვების დღის შემდეგ რამდენიმე კვირა იყო გასუ-
ლი. უფროსი სერეანტი X თავის ოთახში იჭდა, ერთი კერძო სახლის
მესამე სართულზე, საცა, ცხრა ამერიკულ ჭარისკაცთან ერთად,
ჯერ კიდევ ზავის დადებამდე ჩაასახლეს იგი. ხის დასაკეც სკამზე

იჯდა, პატარა, დაფხავებულ საწერ მაგიდასთან. წინ გადაშლილი რო-
მანი ედო, რასაც იგი დიდი ვაივაგლახით კითხულობდა. წიგნს კი
არაფერი სჭირვებია სავაივაგლახო, მასვე სჭირდა. საერთო კლუბი-
დან ყოველთვიურად გაღმოგზავნილ წიგნებს, როგორც წესი, ჯერ
მეორე სართულზე მცხოვრები ჯარისკაცები ეცემოდნენ, მაგრამ
X-ს, ეტყობა, მაინც რჩებოდა ის წიგნი, რასაც თვითონვე ირჩევდა.
ეს ახალგაზრდა კაცი ომიდან სავსებით „ჯანმრთელი და სალსალამა-
სი“ ვერ გამოსულიყო: იჯდა აგერ მთელი საათი და სამ-სამჯერ
კითხულობდა თითო აბზაცს, რათა აზრი გამოეტანა, ხოლო მერედა-
მერე ცალკეული ფრაზების ასევე რამდენჯერმე გადაკითხვაც კი დას-
ჭირდა. ერთი წუთით სახეზე მიიფარა ხელი — მაგიდის თავზე ჩამო-
კიდებული გატიტვლებული ნათურის ჩახჩახა შუქს მოარიდა თვალი.

მერე კოლოფიდან, რომელიც მაგიდაზე ედო, სიგარეტი ამოილო
და მოუკიდა. ხელი ოდნავ შესამჩნევად უკანკალებდა, თითები განუ-
წყვეტლივ ერთმანეთს უჯახებოდა. დაჯდა, სკამის ზურგს გადააწვა-
და სიგარეტი მოჰქაჩა, მაგრამ გემო არ უგრძვნია. უკვე მერამდენე
კვირა იყო, პირიდან არ გამოელო სიგარეტი, ზედიზედ წევდა. საკ-
მარისი იყო ენის წვერი მოხვედროდა ღრძილს, რომ სისხლი სდიო-
და. და იდენდა კიდეც სისხლს, გართობად ეჭცა ეს ვარჯიში, საათო-
ბით იქცევდა ხოლმე თავს. იჯდა, სიგარეტს აბოლებდა და ღრძილი-
დან სისხლს იდენდა. მერე უცებ წამოუარა, ერთბაშად, როგორც
ყოველთვის, ისე რომ წინასწარ არც კი უგრძვნია — ტვინი თითქოს
ადგილიდან დაეძრა და აქეთ-იქით გაქან-გამოქანდა; როგორც ვაგო-
ნის თაროზე შემოდებული ჩემოდანი. ხელადვე მიმართა ხერხს, რაც
რამდენიმე კვირის განმავლობაში შველოდა ხოლმე — საფეთქლებზე
ხელები მაგრად მიიჭირა და ერთი წუთი ასე გაირინდა. თავის აღ-
გილზე დალაგდა ჟველაფერი. თმა წამოზრდოდა, გაჟუჭუიანებოდა.
სამ-ოთხეტერ მაინც დაიბანა თავი საავადმყოფოში, მაინის ფრანკ-
ფურტში, საცა მან მთელი ორი კვირი დაჲყო, მაგრამ ბოლოს, გაუ-
ფურტისკენ რომ ბრუნდებოდა „ჯიპით“, ამხელა მტვრიან გზაზე ისევ
გაუჭუჭყიანდა. კაპრალი Z, რომელმაც წამოსააყვანად ჩააკითხა, ისე
მოაქანებდა „ჯიპს“, თითქოს კვლავ ომი ყოფილიყოს, ზავი არც კი
დაედოთ, ქარსაფარი მინა დაბლა დაეშვა და მოაქროლებდა. გერმა-
ნია იმ დროს ჯარის ახალი ნაწილებით იყო მოფენილი და კაპრალს

თავი მოჰქმნდა: ფრთხოებული სისწრაფით მიაქროლებდა მანქანას და იძით ყველას აგრძნებინებდა — ანალიგამომცხვარი, ძალის გაუღებული გარისკაცი არავის გეგონოთო.

საფეხქლებს რომ მოეშვა და ხელები ჩამოილთ, X საწერ პიგიდას დააშტერდა, რომელზედაც, სულ ცოტა, ორი დუქინი გაუხსნელი პიკეტი მიინც ეყარა, ყველა მის სახელზე. ხელი გადააწვდინა და დაბვავებული წიგნებიდან ერთ-ერთი აილო, კედლისკენ გადავირსნალი ტომი. გენელსის წიგნი აღმოჩნდა „Die Zeit ohne Beispiel“. იმ ოჯახის თცდათვრამეტი წლის გაუთხოვარ ქალიშვილს ეკუთვნოდა წიგნი. სულ რამდენიმე კვირის წინათ ლეტოებინა თვახს აქაურობა, ამ ჭიათურაც დაბალი თანამდებობა სჭეროდა ნაცისტურ პარტიაში, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა, ამერიკელი სარდლობის სიაში აღმოჩნდილიყო, რის მიხედვითაც განუკითხავიდ იჰურდნენ ხოლმე ფაშისტებს. თვითონ X-ვა დააპატიმრა იგი, ასლი კი იგერ, პოსპიტლიდან ახლად დაბრუნებული. უკვე მესამედ იღებს ამ ქალის წიგნს ხელში და თავფურცელზე წარწერილ მოკლე ფრაზას კითხულობს. შელნით დაუწერია, გერმანულად. წერილი ასოებია, ვტუობა, უიმედო გულწრფელობის დროს დაწერილი: „ლმერთო ლი-დებულო, რა ჭოქოხეთია ცხოვრება!“ შეტი არითერი წერუსულ — არც ზემოთ, არც ქვემოთ. უარისლ ფურცელზე ეულად გამოკუკითოდ ეს რამდენიმე სიტყვი, თავასის ავაღმყოფურ მდუშარებაში. ჩა-ლაც შეუვალი ბრალდების კლასიკურ ნიმუშიდ მოსჩანდა. რამდენიმე წუთი ამ ფურცელს ჩაშტერებოდა, ცდალობდა არ მინებდოდა, სიტყვებს არ შთავნოქა მთლიანება, მაგრამ ეს ძნელი საქმე იყო. მერე ფანქერის ნატეხს დასწევდა და ისეთი გატაცებით, რაც ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში არაფრის მიძინოთ არ გამოუჩენია, ინვა-სურიად მიაწერა: „მამებო და მასწავლებლებო. სულ ეს ფიქრი მიტ-რიალუბს თავში — ჭოქოხეთი რა არის-მეტე. და ეამტკიცებ: ეს არის ტანჯვა იმის გამო, რომ სიყვარული მეტად იღარ შეგვიძლია. ამ სიტყვების ქვეშ დოსტოევსკი უნდა მიეწერა, დაიწყო კიდევც, მავრაც ერთბაშად შენიშნა, და ტანში შიშის ერუანტელმა დაუარა, რომ რაც დაეწერა, თითქმის გაუგებარი იყო, ვერ წაკითხავდი, ვერ გაარჩევდი. დახურა წიგნი.

უცებ ხელი გაიწვდინა და რაც მოხვდა, აილო, თავისი უფროსი

ძმის წერილი აღმოჩნდა, ოლბანიდან სწერდა. ეს წერილი ადრევე ეგდო მაგიდაზე, მანამ პოსპიტალში წაიყვანდნენ. კონვერტი გახსნა და უხალისოდ შეუდგა კითხვას. მთელი წერილის გადაქითხვა უნდოდა, მაგრამ პირველი გვერდის ნახევარილა წაიკითხა. ამ სიტყვებს რომ მიადგა, კითხვას თავი გაანება: „ეს ოხერი ომი ხომ გათავდა, ახლა ალბათ ქვეყნის დრო გექნება... იქნებ ბავშვებს ერთი-ორი ხიშტი ან სვასტიკა გამოუგზავნოთ...“ წერილი დახია და კალათში გადაუძახა, თვალი გააყოლა ქალალდის ნაფლეთებს. ახლადა შენიშნა, რომ კონვერტში ფოტოსურათი დებულიყო. ერთ-ერთ ნაფლეთზე ვიღის ფეხი შენიშნა, რაღაც გაზონში იღვა.

ხელები მაგიდაზე დააწყო და თავი ზედ ჩამოასვენა. თავით ფეხებამდე ყველაფერი ტეხდა და ტკიოდა, და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ყველა სახსრის ტკივილი ერთმანეთთან იყო დაკავშირებული. შობის ხეზე გაბმულ ფერად ნათურებსავით იყო: ყველა ნათურა ერთ მავთულზეა ჩართული, ერთი თუ გამოეთიშა, მაშინვე ჭველა ჩაქრება.

* * *

არავის არ დაუკაჯუნებია, ისე შემოიფეთა კარები. X-მა თავი ასწია და მიიხედა. კარებში კაპრალი Z იდგა. ეს კაპრალი მასთან ერთად მუშაობდა, „ჯიპზე“ მორიგეობდნენ ხოლმე. და კონტინენტზე გაღმოსხმის შემდეგ, ხუთივე საომარ კომპანიაში ერთად მიეღოთ მონაწილეობა. მეორე სართულზე ცხოვრობდა, და X-თან, ჩვეულებრივ, საჭორაოდ და საწუწუნოდ ამოღიოდა ხოლმე. ოცდაოთხი წლის კაბუკი იყო, მაღალი, მხარბეჭიანი; ფოტოგენური სახე ჰქონდა. ომის დროს ერთ-ერთი ამერიკული უურნალისათვის გადაუდეს სურათი ჰიურტგენის ტყეში, ხალისით დათანხმდა გადაღებას — იღლიებში, აქეთ-იქით, თითო ინდაური ამოეჩარა, სადღესასწაულოდ მიღებული.

— წერილებსა წერ? — ჰქითხა მან X-ს, — როგორ ჩაბნელებულა აქაურობა, მოჩვენებას გავხარ! — Z მუდამ განათებულ ოთახში შევლას არჩევდა.

X მისკენ მიბრუნდა და სთხოვა, შემოდიო. ოღონდ ფრთხილად, ძალას ფეხი არ დაადგაო.

— ვისა?

— ელვინს. ზედ შენს ფეხებთან წევს, კლეი. აგრენთო ბარემ ეს ოხერი სინათლე!

კლეიმ ხელის ცეცებით მიაგნო კედელზე ამომრთველს, გადაატრიალა. მერე მოსამსახურის სოროსავით მოციცქნილი ოთახი გაუარა და საწოლის ძგიდეზე ჩამოჯდა, სახეში მიაშტერდა მასპინძელს. აგურისფერი თმა ახლახან დაევარცხნა, მანამდე კი საგულდაგულოდ დაესველებინა და წყლის წვეთები ჭერ ისევ ჩამოსდიოდა. მოყავისფრთ პერანგის მარჯვენა ჭიბიდან, როგორც ყოველთვის, სავარცელი და აეტოკალამი მოუჩანდა. მორცხენა ჭიბის თავზე ებნია ბრძოლებში მონაწილე ქვეითი ჭარის ნიშანი (რისი ტარების უფლებაც მას სინამდვილეში არა პქონია), ხუთი ბრინჯაოს ვარსკვლავი ევროპის ფრონტზე საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობისათვის (ნაცვლად ერთი ვერცხლის ვარსკვლავისა, რომელიც ხუთ ბრინჯაოსას ცვლილა) და დამსახურების ლენტი, რაც მას ჭერ კიდევ პირლ ჰარბორამდე მიეღო.

მძიმედ ამოიხვენეშა და თქვა:

— შეგაჩვენოს ღმერთმა! — მაგრამ ფაქტიურად ეს არაფერს ნიშნავდა: ჭარში იყვნენ. მერე პერანგის ჭიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, თითო დაპკრა, ერთი სიგარეტი გამოაგდო, კოლოფი ისევ შეინახა და ჭიბე კვლავ ღილით შეიკრა. კვამლი გამოაბოლა და ოთახში უაზროდ მიიხედ-მოიხედა. ბოლოს თვალი რადიოზე შეაჩერა.

— ეი, — თქვა მან, — ორ-სამ წუთში რადიოთი დიდ მიმოხილვას გადმოსცემენ. ბობი პოუპი, და რა ვიცი, რომელი ერთი გითხრა.

X-მა სიგარეტის ახალი კოლოფი გახსნა, რადიო ახლახან გამოვთმეო, უპასუხა.

მანამ X სიგარეტის მოკიდებას მოახერხებდა, კლეიმ თვალი ველარ მოაშორა, აზარტში შესული მაყურებლის გატაცებით მისჩერებოდა.

— ბიჭო, — შესძახა მან, — ერთი მაგ შენს ხელებზე დაგახედა, როგორ გიკანკალებს, ეერა ხედავ?

როგორც იქნა, მოუკიდა X-მა, თავი დააჭინია და კლეის უთხრა — მახვილი თვალი გქონია, არაფერი გამოგვარებათ.

— არ გეხუმრები. კინალამ გული შემიწუხდა, პოსპიტალში რომ გნახე. მიცვალებულივით იგდე. წონაში ჩამდენი დაიკულა? რამდენი გირვანქარ ჰა?

— არ ვიცი. შენ რასა შერებოდი ჩემს არყოფნაში, ბევრი წერ-ლი მიიღე? ლორეტა ხომ გწერს?

ლორეტა შეცვარებული იყო კლეისა. როგორც კი ხელს აყრებლი. შემთხვევა მიეცემოდათ, დაქორწინებას აპირებდნენ. ქალს თავისა სამყარო ჰქონდა, თავისი სამოთხე — სამ-სამი ძაბილის ნიშნებითა და მოუფიქრებელი დასკვენებით საკუს; და ხშირად უგზავნიდა ხოლ-მე ამ სამოთხიდან წერალებს. კლეიც, მოელი ომის განმავლობაში, X-ს უკითხიდა ლორეტას წერილებს, როგორი ინტიმურიც არ უნდა ყოფილიყო. პირიქით — ინტიმურ ამბებს უფრო დიდი ხალისით უკი-თხიდა. ჩვეულებალ ექცა: კითხვას რომ მორჩიებოდნენ, უსაოულდ უნდა ეთხოვთ X-სათეის, ბისუხი მუიფიქრე, ლამაზი ფრაზები შემად-გენინე და უამარტინეო. უფრო დიდი შთაბეჭდილების მოსახლენად შიგ ფრანგულ-გერმანული სიტუაციც გამარტინეო.

— კი, გუშინაც მომივიდა. ქვემოთ ჩაქვს, ოთახში. შერე წავი-კითხავ, — უხალისოდ მიუგო კლეიმ. წელში ვასწორდა. სუნიქვა შეიკრა და ერთი მავრად ამოაბოყინა. ეტყობა, მთლად კმაყოფილი ერ დარჩა საკუთარი წარმატებით და ერთხელ კიდევ მისცა თავი-სუფლება თავს, — მისი ოხერი ძმი ფლოტს ანებებს თურმე თავს. თეძო ამოვარდნია, რა თეძო აუტყდა მიგ ნაბუშარს. — ისევ ვასწორ-და წელში, ისევ მოემზადა იმოსაბოყინებლად, მიგრამ ამჯერად ისე მავრად ველარ გამოუვიდა. უცებ სახეზე შეშფოთება გამოეხატა. — ჰო, მართლა, არ დამარიწყდეს. ხეალ ხუთხე უნდა წამოვხტეთ და ჰამბურგისკენ გავჭანდეთ. თუ სადღაც მანდეთკენ. ეიზენჰაუერის ქურთუები უნდა მივიღოთ მთელი ქვეგანაყოფისთვის.

X-მა ძროულად შეუბლეირა და პირდიპირ განუცხადა — ეიზენ-ჰაუერის ქურთუეკი მე არა მჭირდებათ.

კლეიმ გაკვირვებით გამოხედა, ცოტა წყენითაც.

— რას ამბობ, მშეენიერი ქურთუებია კოხტა, ლამაზი. რა მო-გივიდა?

— სულ ერთია, უთენია რატომ უნდა ივლგეთ. აკი გათავდა ეს ოხერი ომი!

— ეგ მე არ მეკითხება. საღილობამდე უკანევ უნდა მოვბრუნდეთ. რაღაც ბლანქები მიუღიათ. საღილობამდე უნდა შევავსოთ. ბარემ ახლაც დაგვირიგე და შევავსებო-მეთქი, ბულინვს ვუთხარი, მაგიდაზე უყრია ის ოხერი ბლანქები. თავის შეწუხება არ ნებავს, კონვერტების გახსნი ეზარება მაგ ძაღლის ვიგდებულს.

ერთი წუთით უხმოდ ისხდნენ, ბულინგის სიძულვილით გულგავ-სებულები.

· უცვებ კლეიმ X-ს ახედა. ამჯერად კიდევ უფრო მეტი ცნობის-მოყვარეობითა და ინტერესით.

— მოიხედვე, — უთხრა მან, — ვერ ატყობ, რომ ეს ნიხევარი სი- კუათი ვიძიგვიგებს?!

ვიციო, X-მა უპასუხა და სახეზე ხელი დაიტარა.

ერთხანს კიდევ ათვალიერებდა კლეი, მერე კი ხალისიანად უთხრა, თითქოს განსაკუთრებით კარგ რამეს ახარებსო.

— ლორეტასაც მივწერე შენზე, ნერვიული მოშლილობა აქვს- მეტები.

— პო-ო?

— მაშა! ძალიან იინტერესებს ამისთანა რამეები. გადაუწყვეტია ფსიქოლოგიაში დასპეციალდეს, — კლეი საწოლზე გაიშოტა. ფრხე- ბიც არხეინად გაშალა, — იცი, ჩასა მწერს? ომს ნურავინ დააბრა- ლებს ნერვების მოშლილობას და ამისთანა რამეებსო. ალბათ მთელი თავისი დღე და მოსწრება ისე სუსტნერვებიანი იყოო.

X-მა თვალებზე ხელი შიიფარა — საწოლის მხრიდან გამოჭრილი სინათლე აბრმავებდა — და შენიშნა: ის შენი ლორეტა ისე ღრმადა სწვდება მოვლენებს, რომ გულს მუდამ სიხარულით მივსებსო.

კლეიმ ცერად გამოხედა.

— ნიბუშარი ხარ და ეგ არის, — უთხრა მან, — შენზე ცოტა უფ- რო მეტი კი გაეგება ლორეტას ფსიქოლოგიისა!

— იქნებ ჩამოგელო ეგ შენი აყროლებული ფეხები ჩემი საწო- ლიდან!

ორც განძრეულა, ყურიც არ გაუპარტყუნებია, ისევ ისე იწვა გა-

მოჯიბრებით („ეგლა მაკლია, შენი ბრძანებით ვტლინქო ფეხები აქეთ-იქით!“), მერე წამოჭდა და ფეხები ძირს დაუშვა.

— მაინც უნდა ჩავიდე ქვემოთ, უოკერის ოთახში რადიო აქვთ,— თქვა, მაგრამ არც კი წამომდგარა, — ჰო. ახლა ველაპარაკებოდი სწორედ იმ ძალლიშვილს, იმ ახალმოთრეულ ბერნსტაინს. ხომ გახსოვს, ვალონში რომ ჩავედით მე და შენ, ცეცხლის ხაზში რომ მოვხვდით და მთელი ორი საათი ასე გავატარეთ, მერე ის ოხერი კატა ახტა ჯიპის ძარაში და იქვე გავაცხებინე სული, ჩვენ ისევ იმ ორმოში ვიწევით? ჰა, გახსოვს?

— ჰო, მახსოვს... რას დაიგინე ეს ოხერი კატა?! აღარ მინდა მაგისი მოსმენა.

— არა, ლორეტას მივწერე ეს ამბავი და იმიტომ გამახსენდა. ქლასში უმსჯელიათ ფსიქოლოგებს. ერთად ყველას. მაგათ ოხერ პროფესორს და ყველას.

— ძალიან კარგი. ოღონდ მე ნულარ მიხსენებ, კლეი.

— არა, დამაცა. ლორეტა რასა მწერს, თუ იცი, რატომ დაახალე ტუვიაო? უცებ სიგიურე წამოგიარაო. არ გეხუმრები. სროლისაგან წამოგიარა დროებით სიგიურე და ყველაფერიო.

X-მა ერთხელ კიდევ შეაცურა ჭუჭყიან თმაში თითები, მიატარმოატარა და მერე ისევ მოიჩრდილა სინათლე.

— არავითარი სიგიურ არა გქონია. უბრალოდ შენს მოვალეობას ასრულებდი. ვაჟკაცურად მოჰკალი ის კატა; ვინც არ უნდა ყოფილიყო, ასე მოიქცეოდა.

კლეიმ დაეჭირებით გადახედა.

— ნეტა რას ბოდავ!

— ის კატა ჯაშუში იყო. ვალდებული იყავი იქვე გაგეთავებინა. გერმანელი ჯუჯა ჯაშუში იყო, კატის იაფფასიან ქურქში გახვეული. არც მხეცობა იყო ეგ შენი მხრივ, არც გულქვაობა და არც სისაძაგლე, ან...

— ჯანდაბას შენი თავი! — შესძახა კლეიმ და ტუჩები მოპრუწა. — არ შეგიძლია, ერთხელ მაინც შენს სიცოცხლეში გულწრფელი და სერიოზული იყო?

X-ს უცებ გული აერია, სკამზევე შებრუნდა და სწორედ დროზე დასტაცა ხელი ჭუჭყიანი ქალალდების კალათს.

როცა გასწორდა და ისევ სტუმრისკენ მიაბრუნა თავი, ნახა, რომ
იგი უხერხულად აწურულიყო, საწოლსა და კარს შუა იდგა. X-მა
მობოლიშება დაპირა, მაგრამ გადაიფიქრა და თავის სიგარეტს გა-
დასწოდა.

— წამოდი, ჰოუპს მოვუსმინოთ რადიოში, — სცადა მეგობრუ-
ლად ეოქვა, მაგრამ ფეხი წინ მაინც არ წამოუდგამს, მაინც მოშორე-
ბით იდგა, — მოგიხდება კიდეც. მართალს გეუბნები.

— შენ თვითონ წადი, კლეი... მე, აგერ, ჩემი მარკების კოლექ-
ციას დავათვალიერებ.

— ოჰო! მარკების კოლექციაც გაქვს? არ ვიცოდი, შენ თუ...

— არა, გეხუმრები.

კლეი მძიმედ დაიძრა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა კარისკენ.

— მერე იქნებ ეშტალტისკენაც გავუტიო, — თქვა ზან, — ცეკ-
ვებს მართავენ, ორ საათამდე იქ იქნებიან ალბათ. არ წამოხვალ?

— არა, მადლობელი ვარ... მე, აგერ, ოთანში შევეჩვევი ცოტათ
სიარულს.

— ასე იყოს. ნახვამდის. ეგ ნუ შეგაწუხებს, თუ ლმერთი გრამს.

კარი გაიგახუნა, მაგრამ მალევე შემოაღო.

— ეი, ლორეტას წერილს დავაგდებ, აგერ, კართან, კარგი? გერ-
მანულად ჩავწერე შიგ რალაცეები. ხომ გამისწორებ, პა?

— კარგი, ოღონდ ახლა მომასვენე ეს ოხერი.

— კი, ბატონო, — უთხრა კლეიმ. — ღედაჩემი რასა მწერს თუ
იცი? ძალიან მიხარია, რომ მთელი ომი ერთად გაატარეთ და ერთად
იყავითო — მე და შენ. ერთ ჭიშმიო. რაც ერთადა ხართ, გაცილებით
უფრო წესიერ და დალაგებულ წერილებს მიგზავნიო.

X-მა თავი ასწია, ზევიდან დახედა და გაწამებულმა უთხრა:

— მადლობელი ვარ. ღედაშენსაც მისწერე ჩემ მაგიერ მადლობა:

— კარგი, მივწერ. ნახვამდის.

კარი გაიგახუნა, და ამჯერად უკვე აღარც შობრუნებულა.

* * *

X-ს დიდხანს არ მოუცილებია კარისთვის თვალი, მერე საწერი
მაგიდისკენ შებრუნდა და იატაკზე პორტატულ საბეჭდ მანქანას გა-

დასწელა. უწესრიგოდ დახვაევებული გაუხსნელი წერილები და ამანათები მისწი-მოსწია და აღგილი გაუთავისუფლა. მოეჩვენა, რომ, თუ ერთი თავისი ძველი ნიუ-იორკელი შეგობრისათვის წერილის მიწერას მოახერხებდა, ერთბაშად უკეთ გახდებოდა, ცოტათი მაინც მაგრამ ისე საშინლად უკანკალებდა თითები, რომ მანქანაში ქალადის ხეირიანად ჩატურება ვერასდიდებით ვერ მოახერხა. ერთი კიდევ სტადა, და მერე მუჭიში მოჭმუჭნა ქალალდი.

გრძნობდა, რომ საჭირო იყო კალათი გაეტანა ოთახიდან, მაგრამ ამის ნაცვლად ხელუხი მანქანაშე დაუშვა, ზედ თავი დააყრდნო და თვალები დახუჭია.

რამდენიმე წუთს ასე იყო, მოელი სხეული ტეხდა, მერე კი, როცა თვალები გაახილა და ცერად გიდახედა მაგიდას, მწვანე ქალალდში გახვეული პატარა ამანათი შენიშნა. ეტყობოდა, მაშინ ჩამოცურდა, როცა საწერი მანქანის დასადგმელი მაგიდაზე აღგილს ითავისუდლებოდა. შენიშნა, რომ ამანათი ბევრჯერ გადაეგზავნ-გადმოეგზავნათ თბალ-ახალ მისამართებზე. მარტო ერთ გვერდზე, სულ ცოტა, სამ-საველე ფოსტის ნომერი ეწერა.

უხალისოდ გახსნა ამანათი, გამომგზავნის მისამართზე არც კი დაუხედავს. ასახთა გამკრა და უუთზე შემოხვეული კანაფი ისე მიაწვა. კანაფზე მოდებულმა ცეცხლმა უფრო გაიტაცა, ვიდრე თვით ამანათმა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს მიინც გახსნა.

ჩასუდა კოლოფუში და ნახა, რომ სილრიფანა ქალალდში გახვეულ რაღაც ნივთზე მეღნით დაწერილი ბარათი იდო. ამოიღო და წაყრდნა.

დევონი... ქუჩა, 17
7 ივნისი, 1944 წელი.

ძვირფასთ სერუანტო X!

იმდი მაქვს, მაპატიებთ. რომ მხოლოდ 38 დღის შემდეგ ვიწყებ თქვენთან მიწერ-მოწერას. მაგრამ ქვეყნის საქმე გამიჩნდა: დეილანდემს სტრეპტოკოკური ანგინა შეეყარა და კინალამ დაილუპა, იმდენა საქმე დამაწვა, რომ რომელი ერთისთვის მიმეხედა, იღარ ვიცოდი. მიუხედავად ამისა, სულ თვალწინ მედეჭით, ხშირად მახსენდებოდა

ის მეტად სასიამოვნო დრო, რაც ჩვენ ერთად გავატარეთ აპრილის 30-ს, 1944 წელს 3.45 დან 4.15-მდე. იქნებ გადაგავიწყდათ კიდევ, და იმისამ ასე დაწვრილებით შეგახსენებთ.

მოკაფშირეთა ჯარების გადასხმის ამბავმა საოცრად აგვალელვა. ერთს და იმავე დროს შიშისა და სიხარულის კანკალი გვიძეს, მაგრამ იმის იმედით ცსულდგმულობთ, რომ ომსა უა ამ, ბევრი რომ არა ვთქვათ, სულელურ არსებობას მაღვე მოეღება ბოლო. ჩირლზისა და მე ძალიან გვიწყებს თქვენი ამბავი. ვიმედოვნებთ, იმ ნაწილში არ მოხვედრილხართ, რომელიც სულ პირველად გადასხეს კოტანტენის ნახევარეუნდულზე. მართლა ხომ არ მოხვდით? თუ ღმერთი გწამთ, რაც შეიძლება ჩქარა მიპასუხეთ. ჩემი გულმნურვალე მოკითხვა გადაეცით თქვენს მეულლეს.

გულწრფელად თქვენი
ესმე.

P. S. თავს ნებას ვაძლევ ჩემი საათი გამოგიგზავნოთ — თქვენი იყოს მოელი ამ კონფლიქტის განმავლობაში. ჩვენი ხანმოკლე შეხვედრის დროს ისე მომეჩვენა, რომ საათი არა გქონიათ. ისე, წყალშეუვალია, არც დავაზრდნისა და რაიმეზე მირტყმის დროს გაფუჭდება. სხვაც ბევრი კარგი თვისება აქვს, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ თუ მოისურვებთ, სიარულის დროს სისწრაფეს აღნიშნავს. დარწმუნებული ვარ, ამ მძიმე დღეებში თქვენ უფრო გამოგადგებთ ეგ საათი, ვიდრე მე, და როგორც ბედნიერ თილისმას, ისე ატარებთ.

ჩირლზის, რომელსაც მე თვითონ დავაწყებინე ახლახან წერაკითხვა და რომელმაც დიდი ნიჭიც გამოამეოდავნა, სურს რამდენიმე სიტყვა თავისი ხელით მიაწეროს. როგორც კი დრო და სურვილი გაქნეთ, უსათუოდ მომწერეთ.

ჰილო ჰილო ჰილო ჰილო ჰილო

ჰილო ჰილო ჰილო ჰილო ჰილო.

კარგა ხანი გავიდა, მანამ X წერილის გვერდზე გადადებასა და ყუთიდან ესმეს შამის საათის ამოლებას მოახერხებდა. როცა ბოლოს

ამოილო, ნახა, რომ გადაგზავნა-გადმოგზავნის დროს მინა გატეხილიყო. ნეტა სხვაც რაიმე ხომ არ დაზიანებიაო, გაიფიქრა, მაგრამ ნებისუოფა აღარ ეყო, რომ მოემართა და შეემოწმებინა. კარგა ხანს იჯდა ასე, ხელში საათი ეჭირა. მერე კი ერთბაშად სიხარულმა მოიცვა და ჩაეძინა კიდევ.

ასეთი ძილისგუდა კაცია შენს წინაშე, ესმე, ასე რომ იმედია კვლავ ჯანმრთელი და საღ... საღ-სა-ლა-მა-თი გახდება.